საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 23

2019 წლის 29 იანვარი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ზურაბ ხაბაძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, გამოეყოს 6 000 (ექვსი ათასი) ლარი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ი. შამილიშვილი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ბ. რიჟვაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №68

2019 წლის 11 მარტი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაზეთ ,,აჭარის" ღვაწლმოსილი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის რევაზ მსხილაძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, გამოეყოს 6 000 (ექვსი ათასი) ლარი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (ი. შამილიშვილი) უზრუნველყოს ბრძანებით გამოყოფილი თანხის მიზნობრივი განკარგვა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიჟვაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 103

2019 წლის 25 მარტი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეაბილიტირებული შენობის საზეიმო გახსნის მიზნით, სტუმრების მიღებასა და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის ,,სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა" (051312) ქვეპროგრამის ,,სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (05131204) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა (ო. კალანდაძე) უზრუნველყოს ბრძანებით გამოყოფილი თანხის მიზნობრივი განკარგვა.

4. კონტროლი გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ი. შამილიშვილი).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე 	b რიჟვაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქმისწარმოებისა და დოკუმენტაციის
დეპარტამენტი
№ 1

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 124

2019 წლის 15 აპრილი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 12 აპრილის NMES 6 19 00427969 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოსა და აჭარის დამსახურებული არტისტის, პოღოს მოვსესიანის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, გამოეყოს 6 000 (ექვსი ათასი) ლარი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. კონტროლი გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ი. შამილიშვილი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ბაბილო მიქელაძე

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკა
საქმისწარმოებისა და დოკუმენტაციის
№ 1